კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა

I ტური

მე-7 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (60 ქულა)

1. ჩამოთვლილთაგან რომელია ბრუნებადი სიტყვა?
   ა) კარი ბ) თუ გ) ვაი!
2. ჩამოთვლილთაგან რომელია ბრუნებადი სიტყვა?
   ა) მიიღებს ბ) ჩავუდე გ) ათაბაგი
3. ჩამოთვლილთაგან რომელია სრული ფუძე?
   ა) ვაშლს ბ) გზის გ) ქარხნის
4. ჩამოთვლილთაგან რომელია უსრული ფუძე?
   ა) ცის ბ) ქარმა გ) დავითი
5. ჩამოთვლილთაგან რომელია კუმშვადი სახელი ?
   ა) ფოთოლი ბ) ჯარი გ) მთა
6. ჩამოთვლილთაგან რომელია კვეცადი სახელი?
   ა) წითელი ბ) მზე გ) გულიანი
7. რომელ წინადადებაშია გამოყენებული უკუმშველი სახელი?
   ა) ,, თბილისის ერთ-ერთ ლამაზ უბანში, მეტად კეთილი ბებო ცხოვრობდა.“
   ბ) ,, გახარებულმა ბებომ გულში ჩაიკრა პატარა გოგონა.’’
   გ) ,,სამართლის მოყვარე ხელმწიფეს ერთს საწყალ კაცზედ ბევრი საჩივარი შემოდიოდა.“
8. რომელ წინადადებაშია გამოყენებული უკვეცელი სახელი?
   ა) ,,გლეხები გაიქცნენ, ნახეს ტყუილი იყო.“
   ბ) ,,დედა კი კოცნიდა და გულში იკრავდა პატარა გოგონას.“
   გ) ,,უცებ დაიგრუხუნა, ცა სულ მთლად დაფარა შავმა ღრუბელმა.“
9. რომელ ფუძეშია „ო“-ს კვეცა?
   ა) ღვინო ბ) ხბო გ) ობობა
10. რომელ ფუძეშია „ა“-ს კვეცა?
    ა) ცეკვა ბ) მსხალი გ) ნათია
11. რომელი სიტყვა გამოხატავს საგნის მდგომარეობას?
    ა) უბერავს ბ) თარგმნის გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი
12. რას ვუწოდებთ ზმნასთან შეწყობილ პირებს?
    ა) სუბიექტს ბ) ობიექტს გ) სუბიექტს, ობიექტს
13. რამდენპირიანია ზმნა „გადააწერინა“?
    ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი
14. რამდენპირიანია ზმნა „მიირთმევს“?
    ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი
15. რომელ ბრუნვაშია წინადადებაში გამოყენებული ზმნის სუბიექტი? -
    „ ვანო ახდილი ქვევრის პირას იდგა და ილანძღებოდა.“
    ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში
16. რომელ ბრუნვაშია წინადადებაში გამოყენებული ზმნის ობიექტი?
    „თოვლმა დილისთვის მთელი ველი დაფარა..“
    ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში
17. შემოხაზეთ მესამე სუბიექტური პირის ნიშნები:
    ა) ს, ა, მ ბ) ენ, ან, ნენ, თ გ) ს, ა, ო
18. რომელ წინადადებაში გვხვდება რიცხვში მონაცვლე ზმნა?
    ა) ,, მის გულისთვის დღე და ღამე გასწორებული გვქონდა.“
    ბ) ,, ყველას დედაა, ყველასთვის ის ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკიდია.“
    გ) ,, საშინელი ხმა გაისმა თუ არა, ქედანი მაშინვე ჩამოვარდა.“

19. რომელ წინადადებაშია ზმნა არასწორად გამოყენებული?
    ა) ,,ვანომ თავის შვილს დაუძახა და მოკლული ბაჭია აბგაში ჩაუდო.“
    ბ),,ნუ იცინიხარ! რამდენჯერ გითხრა!“
    გ) ,,ეს ფიფქები სიხარულს სულაც არ გვრის!“
20. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მიმართვა?
    ა) ,,გახარებულმა ბიჭუნამ ღილს ხელი დააჭირა და ზარმა მაშინვე სადღაც შიგნით გაიწკრიალა.”
    ბ) ,,ილიამ შეხედა ბიჭუნას, შეეცოდა, ხელში აიყვანა.“
    გ) ,,მზეო, ამოდი, ამოდი. ნუ ეფარები გორასა.“

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (30 ქულა)

21. მოცემულთაგან რომელია ზმნიზედა?
    ა) წითელი ბ) მოხდენილი გ) მშვიდად
22. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ზმნიზედა წინადადებაში: „გვერდით არაფერი დგას, მხოლოდ ეს ჩანს.“
    ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების
23. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ზმნიზედა წინადადებაში: „წუხელი, ღამით ქარი დაჰქროდა და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა.“
    ა) ადგილის ბ) დროის გ) მიზეზის
24. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „<u>რატომღაც</u> აღარ მეცინება.“
    ა) ადგილის ბ) ვითარების გ) მიზეზის
25. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ზმნიზედა წინადადებაში: „წეღან ვერ მიცანი, ახლა მეფერები...“
    ა) დროის ბ) მიზნის გ) მიზეზის
26. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში: „ვისია, ვისია ქალი ლამაზი?“
    ა) კუთვნილებითი ბ) ჩვენებითი გ) კითხვით-კუთვნილებითი
27. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია ხაზგასმული წინადადებაში: ,,დედის გამოჯანმრთელებამ გაახარა <u>თითოეული</u> მათგანი.“
    ა) განსაზღვრებითი ბ) კუთვნილებითი გ) პირის
28. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში: „სად მიდიან? __ ნინო გამუდმებით კითხულობს.“
    ა) ჩვენებითი ბ) პირის გ) კითხვითი
29. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში: „ზოგი მათგანი არ შემოგვიერთდა.“
    ა) ჩვენებითი ბ) განუსაზღვრელობითი გ) კუთვნილებითი
30. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში: „ნურავინ ნურაფერს იტყვის! __ ბრძანა მეფემ.“
    ა) კითხვითი ბ) განსაზღვრებითი გ) უარყოფითი

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (10 ქულა)

31. სიტყვა ,,მედგარი“ ძველ ქართულში ნიშნავდა:
    ა) ზარმაცს ბ) ვაჟკაცს გ) ძლიერს
32. შემოხაზეთ ,,მშვიდის“ სინონიმი
    ა) წყნარი ბ) სხარტი გ) ხმაურიანი
33. ,,დინჯის“ ანტონიმია:
    ა) მკვეხარა ბ) ჩქარი გ) დოინჯი
34. ,,გოჯი“ ანუ
    ა) ღორი ბ) ჯოხი გ) საზომი ერთეული
35. ,,ცისკარი“ ანუ
    ა) ცა ბ) ცისფერი გ) განთიადი